# სამუშაოს შესყიდვის ხელშეკრულება № 23

21 ნოემბერი2016 წელი

ძველი ქანდა

ერთის მხრივ, სსიპ - სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ქანდის საჯარო სკოლ (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა ნაკანის სახით და მეორეს მხრივ, ფ/პ- ხვიჩა ყაველაშვილი, პირადი №-01003012891 , (შემდგომში - მიმწოდებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს!" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1 ხელშეკრულების საგანია ცენტრალური გათბობის შეკეთება და ტექნიკური მომსახურების სამუშაოს შესყიდვა (CPV: 50720000) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება**

შესასრულებელი სამუშაოს საერთო ღირებულება შეადგენს 65 (სამოცდახუთი) ლარს და მოიცავს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

**მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება**

3.1 შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**მუხლი 4. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა**

4.1. სამუშაოს შესრულების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - მცხეთა,ძველი ქანდა,

4.2. სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

**მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება.

დ) დაიცვას უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ნორმები;

ე) სამუშაოების პარალელურად, საკუთარი ძალებით და სახსრებით პერიოდულად გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი ნარჩენი მასალებისაგან.

**მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ქანდის საჯარო სკოლის დირექტორი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას.

**მუხლი 7. პირგასამტეხლო**

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 8. სამუშაოს შესრულების გარანტია**

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

8.2. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება უნდა მოხდეს შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 9. ფორსმაჟორი**

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

**მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

### მუხლი 11. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### მუხლი 13. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

### მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ქანდის საჯარო სკოლა<br>მის. : მცხეთა, ძველი ქანდა.<br>ს/კ<br>საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს ,,საქართველოს ბანკი"<br>ბანკის კოდი<br>ა/ა<br><br>დირექტორი: ნანა ნაკანი ნ. ნაკ | ფ/პ ხვიჩა ყაველაშვილი<br>პირადი №01003012891<br>მის.: თბილისი,მუხიანის IIმიკრორაიონი, კორპუსი 17, ბინა 20<br>ტელ.: 599176865<br><br>საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს ,,საქართველოს ბანკი"<br>ბანკის კოდი BAGAGE22<br>ა/ა GE60BG0000000999973700<br><br>ხვიჩა ყაველაშვილი ხ. ყ |

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ქანდის საჯარო სკოლა<br>LEPL MTSKHETA MUNICIPALITY PUBLIC SCHOOL OF VILLAGE DZVELI KANDA<br>* 236087569 *

დანართი

შესყიდვის ობიექტია:
CPV 50720000 ცენტრალური გათბობის შეკეთება და ტექნიკური მომსახურების სამუშაოს შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

| დასახელება | განზომილიბის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო |
|---|---|---|---|---|
| ცენტრალური გათბობის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება (გათბობის ქვაბის შეკეთება, რეგულირება, გაწმენდა) | ცალი | 1 | 65.00 | 65.00 |

სულ: 65(სამოცდახუთი)

სკოლის დირექტორი:

ნანა ნაკანი

ფიზიკური პირი:

ხვიჩა ყაველაშვილი

მიღება- ჩაბარების აქტი

05.12. 2016 წელი

ძველი ქანდა

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ფ/პ ხვიჩა ყაველაშვილი (შემდგომში „მიმწოდებელი“) და მეორე მხრივ, სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ქანდის საჯარო სკოლა ( შემდგომში „შემსყიდველი“) წარმომადგენელი მისი დირექტორის ნანა ნაკანის სახით,წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ 2016 წლის 21 ნოემბერს დადებული ხელშეკრულება #23 თანახმად,“მიმწოდებელმა“ „შემსყიდველს“ გაუწია დანართში მითითებული 65(სამოცდახუთი) ლარის ღირებულების ცენტრალური გათბობის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების მომსახურება.

ფიზიკური პირი

ხვიჩა ყაველაშვილი

სკოლის დირექტორი

ნანა ნაკანი